**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის**
**ბრძანება**
**N87**

**06.02.2013**

**,,ამნისტიის შესახებ'' საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის N202 კანონის მე-19 მუხლის შესრულების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ**

,,ამნისტიის შესახებ'' საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის N202 კანონის მე-19 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, ,,საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-16 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტის, ,,საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს N598 ბრძანებით დამტკიცებული ,,სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობები''-ს 46-ე მუხლის მე-3 პუნქტის, აგრეთვე ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის N614 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 პუნქტის ,,ა'' და ,,ნ'' ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1.,,ამნისტიის შესახებ'' საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის N202 კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებულმა პირებმა, ,,ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ'' საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენის მიზნით:
ა) შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართონ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - მომსახურების სააგენტო) და წარადგინონ სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული სასამართლო - სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, აგრეთვე აგრეთვე ექიმი-სპეციალისტის მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა N IV – 100/ა),

რომლითაც დადასტურდება მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებთან შესაბამისობა;
ბ) ჩააბარონ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები I კატეგორიის თეორიული გამოცდა.
2.ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირები, ჩამორთმეული მართვის უფლების აღდგენის მიზნით I კატეგორიის თეორიულ გამოცდაზე დაშვებისას, ერთჯერადად თავისუფლდებიან ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 მუხლის ,,ბ'' ქვეპუნქტით განსაზღვრული საფასურის გადახდისაგან.
3.დაევალოს მომსახურების სააგენტოს, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაუშვას მხოლოდ ის პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ ,,ამნისტიის შესახებ'' საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის N202 კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
4.სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები I კატეგორიის თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე მართვის მოწმობის გაცემა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5.ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
6.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**